# ზოგადი სფეროს აუდიტორი

## ილარიონ ხოსიტაშვილი

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის
სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი- SARAS-A-552175 საქართველოს
პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს
აუდიტორის სერთიფიკატი ზ№6/049, ლიცენზია აუდიტორულ
საქმიანობაზე ზ№026, ძირითადი ფონდების გადაფასების მოწმობა №001

ტ: 593-98-44-64

2-52-71-89

4. 10. 2017წ

## აუდიტორული დასკვნა

საქართველოს ზოგადი სფეროს დამოუკიდებელმა აუდიტორმა ილარიონ ხოსიტაშვილმა (საქ. ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის სარეგისტრაციო ნომერი- SARAS-A-552175 პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭოს აუდიტორის საკვალიფიკაციო სერტიფიკატი 8№6/049, ამავე საბჭოს მიერ გაცემული ლიცენზია აუდიტორიულ საქმიანობაზე 8№026 ძირითადი ფონდების გადაფასების მოწმობა №001) სსიპ. ქალაქ თბილისი №210 საჯარო სკოლის (ს/ნ 236059260) დირექციასთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოვახდინე შენობა-ნაგებობის დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი მოხმარებისათვის გამოსადეგი სამშენებლო მასალებისა და ჯართის ექსპერტიზა-შეფასება საბაზრო ღირებულების განსაზღვრის მიზნით. (უძრავი ქონება მდებარეობს: ქ. თბილისი სოფ. დიღომი, სარაჯიშვილის ქუჩა № 12-ში).

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დასკვნის მიხედვით, სკოლის საქვაბისა (08/1) და სანკვანძის (07/1) შენობები სრულადაა ამორტიზირებული და ექვემდებარება დემონტაჟს. სკოლის საქვაბისა და სანკვანძის შენობები აშენებულია 1965 წელს. შენობები ერთსართულიანია. სკოლის საქვაბისა და სანკვანძის შენობების კედლები ავარიულ მდგომარეობაშია, სახურავიდან ჩამოსული ატმოსფერული ნალექებისგან კოროზირებულია კედლები და ნაწილობრივ ჩამოშლილია, გადახურვები ამორტიზირებულია სრულად.

საექსპერტო დასკვნა

ჩემს მიერ ადგილზე ვიზუალური დათვალიერებული იქნა სკოლის საქვაბისა და სანკვანძის შენობები. დათვალიერების შედეგად დავრწმუნდი, რომ სკოლის საქვაბის შენობა – ზომით(50.9+19.3=70.2 მ.) აშენებულია წითელი აგურით, გადახურულია რ/ბ ღრუტანიანი ფილებით. შენობის სახურავი ატმოსფერული ნალექების ზეგავლენით დაზიანებულია (არმატურა კოროზირებულია, ფილები დაბზარულია). ედლები ჩამოშლილია და აღდგენას არ ექვემდებარება.

სკოლის სანკვანძის შენობა – ზომით 18 კვ.მ. აშენებულია წითელი აგურით. სახურავი არ აქვს. კედლები ჩამოშლილია და აღდგენა-გამაგრებას არ ექვემდებარება.

დასკვნითი ნაწილი

ჩემს მიერ სსიპ ქალაქ თბილისის №210 საჯარო სკოლის დირექციასთან 2017 წლის 2 ოქტომბრის №41 ხელშეკრულების საფუძველზე ჩატარებული კვლევის შედეგად დავადგინე შემდეგი:

სკოლის საქვაბისა და სანკვანძის შენობების დემონტაჟის შედეგად სავარაუდოდ მეორადი მოხმარებისათვის გამოსაყენებელი მასალები არ ამოირჩევა.

ჩემ მიერ გაანგარიშებული იქნა სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულება.

| № | ხარჯები | ერთეული | რაოდენობა | ერთ. ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | მუშები – 2 კაცი | დღე | 2 | 35 | 140 |
| 4 | ამწეკრანი | დღე | 1 | 500 | 500 |
| 5 | ექსკავატორი | დღე | 2 | 700 | 1 400 |
| 6 | ავტოტრანსპორტი | დღე | 2 | 250 | 500 |
| | | | | | 2 540 |
| | | | | | |

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | ზედნადები ხარჯები | 8% | | | 203 |
| | | | | | 2 743 |
| 9 | მოგება | 8% | | | 219 |
| 10 | | | | | 2 962 |
| 11 | დღგ | 18% | | | 533 |
| 12 | | | | ჯამი | 3 495 |

სულ სკოლი საქვაბისა და სანკვანძის სადემონტაჟო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 3 495 (სამიათასოთხასოთხმოცდათხუთმეტი) ლარი.

ზოგადი სფეროს აუდიტორი: ი. ხოსიტაშვილი